29/10/2019

საფრანგეთში, ერთ-ერთ ოჯახში აღმოჩენილი ფლორენციელი ოსტატის, ჩიმაბუეს ნახატი 24 მილიონ ევროდ გაიყიდა

საფრანეგთში, ერთ-ერთი ოჯახის სამზარეულოში აღმოჩენილი ცნობილი ფერმწერის ტილო 24 მილიონ ევროდ გაიყიდა.

ფლორენციელი მხატვრის ჩიმაბუეს ნახატი საფრანგეთის ქალაქ კომპიენში მცხოვრები ერთ-ერთი მოხუცი ქალის სამზარეულოში წლების განმავლობაში ეკიდა.

ტილოს მნიშვნელობა მხოლოდ გასულ თვეს გახდა ცნობილი, როდესაც ქალმა ის შესაფასებლად სპეციალისტებთან მიიტანა. თავდაპირველად ტილო ექვს მილიონ ევროდ შეაფასეს. თუმცა 27 ოქტომბერს გამართულ აუქციონზე ანონიმურმა მყიდველმა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილიდან შედეევრში 24 მილიონი ევრო გადაიხადა.

ჩიმაბუე ფლორენციაში მე-13-მე-14 საუკუნეებში მოღვაწეობდა.

1tv.ge